სახალხო გაზეთი

№ 667 შაბათი, 4 აგვისტო, 1912 წ. № 667

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარიკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზავნოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს „საზოგადოების“ წევრებს, რომ დღეს, საღამოს 8 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში გარდახდილ იქნება პანაშვიდი ამ „საზოგადოების“ წევრის

პროფ. ალექსანდრე სოლომ. ძის ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1.587.1)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ქვაშვეთის ეკლესიაში, 4 მარიამობისთვეს, შაბათს, საღამოს 8 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი „საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრის, უანგარო მოღვაწის, პროფესორის

ალექსანდრე სოლ. ძის ხახანაშვილის

სულის მოსახსენებლად. კვირას წირვა და ანდერძი. დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში. წირვა დაიწყება დილის 8 საათზე, მიცვალებულის გამოსვენება ქაშვეთის ეკლესიიდან 11 საათზე. (2—1404—1)

დეკანოზი იოანე ანტონის ძე და მეუღლე მისი ეკატერინე ივანეს ასული კაპანაძენი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 აგვისტოს, აბასთუმანში გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი, გორის სავაჟო გიმნაზიის მოწაფე

ილიკო კაპანაძე.

პანაშვიდები ყოველ-დღე, გორის საკრებულო ტაძარში, შუადღის თორმეტის ნახევარზე. დაკრძალვა ქ. გორში 5 აგვისტოს. (1—1421—1)

ივანე გრიგორის ძე, ვარვარე პეტრეს ასული და ნინა ივანეს ასული დოდაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველი ბიძისა, მეორე მამამთილის, ხოლო მესამე პაპის

დავით ადამის ძის დოდაშვილისას,

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, 4 აგვისტოს, დილის 8 ს. საკუთარ სახლიდან (ჩერქეზ. ქ., 113) წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.589.1)

ელენე დავითის ასული და მღვდელი ვასილ ხახიშვილები, ევგენია დავითის ასული, ლევან სოფრომის ძე და დავით (ცანცარა) ლევანის ძე ბურჭულაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას მამის, სიმამრის და საყვარელ პაპის

დავით ადამის ძის დოდაშვილისას.

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, შაბათს, 4 აგვისტოს, დილის რვა საათზე, საკუთარ სახლიდან (ჩერქეზიშვილის ქ. № 113) წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1.589.1)

ქვრივი **სოფიო დიმიტრის ასული,** შვილები: **ივანე, ნადეჟდა და შალვა დოდაშვილები** აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უეცრად გარდაცვალებას, პირველი დაუვიწყარი ქმრის და მეორენი საყვარელი მამის

დავით ადამის ძის დოდაშვილისას.

გამოსვენება და დაკრძალვა დღეს, შაბათს, 4 აგვისტოს, დილის რვა საათზე, საკუთარი სახლიდან (ჩერქეზიშვილის ქ., 113) წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (1—589—1)

ახალი კლუბი

შაბათს, 4-ს აგვისტოს

საოჯახო საღამო

საზაფხულო თეატრის სცენაზე.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივი, თეატრში—70-დან 20 კაპიკამდე.—წარმოდგენის შემდეგ „ცეკვა“. (2—1392—1)

დაბა ბორჯომი

შაბათს, 4 მარიამობისთვეს, ტფ. ქართულ დრამატიულ დასის მსახიობების: პ. შოთაძის ასულის, ი. ზარდალიშვილისა და მგოსნის ი. გრიშაშვილის მონაწილეობით გაიმართება ორიგინალური იუმორისტიული წარმოდგენა და

საღამო მეჯლისი ოთხ განყოფილებად:

I. **უბედური დებიუტი** ვოდევილი 1 მოქმედებად.
II. **სალიტერატურო განყოფილება** ი. გრიშაშვილის მონაწილეობით
III. **ვაი ყოჩოს** ფარსი 1 მოქმედებად.
IV. **ლექსები, ებრაული და კინტოური სცენები და სხ.**

შემოსავლის 50% პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს სასარგებლოდ გადაიდება. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები ყველას თვის ხელმისაწდომია. (2.1420.1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

შ. არაგვისპირელი. ნაწერები წიგნ. მეოთხე ფასი	50 კ.
ს. კაკაბაძე. თამარ მეფე და მისი მნიშვნ. საქართ. ისტორიაში	15 „
Е. Такайшвили. Опис. рукописей О-ва распрост. грам. ср. Груз. нас. Т. II. в. IV.	1 მ.
ნ. სულხანიშვილი. ქართ. საეკ. მუსიკ. „ღმერთი უფალი“, 1 ხმა	35 „
მღ. მ. კელენჯერიძე. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი	25 „
თეორია სიტყვიერებისა, მეორე შესწორებ. გამოცემა მისივე	40 „
წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა ორი სიტყვა ეპისკ. ლეონიდისა და მღ. მ. კელენჯ.	5 „
დარვინიზმი, თარგ. ი. ფანცხავასი, ახალი გამოც.	25 „
გრდემლი, სალიტ. კრებული	1—50 „
ბესიკი, ლექსები	1 მ.
ა. ახნაზაროვი. ლექს. და სცენ.	60 „
ა. წულაძე. ფუტკ. და მეფუტკ.	80 „
აკაკი. ჩემი ნაწერები წ. I,	75
ა. ფურცელაძე. ბრძოლა საქარ. მოსასპ. და საქ. შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო	1 მ.
И. Ростомашвил. Основное начало раз. и дешеваго земледѣлія	15 „
И. И. Р. Долой бодѣаны	20 „
ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა	30 „
თ. გ. ერისთავი. ძუნწი	5 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი	20 „
მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი	10 „
ტრ. რამიშვილი. ორი პიესა, შეშლილნი და კრიტიკოსთან	25 „

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1411.91).

ბაღი „ედემი“ ვერაზე

მომხიბლავი, მოჩქრიალე ჩანჩქერებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის“ ბაღში მუდამ გრილა და ჰაერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყოველნაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. ტელეფ. № 293.

სრულის პატივისცემით
კ. ბაქრაძე.

(25.1344.17)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმ. ზუბალაშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდორთვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო და ქალთა (ქირურგიული)	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულხანოვი მ. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფიდორთვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმყ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.86)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დ. ლ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ., სვანიშვილისა.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

ჩემი სიმღერა,

რჩეული ლექსები ბ. ახოსპირელისა.

გამომცემელი ი. ალხანაშვილი. ◆ ფასი ორი შაური. (3.1412.)

შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ. № 355.**

საწყობში ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 4 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.37)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 11 7 158)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის,

ვაგზლის ქუჩა. № 8, ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ნ. ა. ბობოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“ -

(წლ—1018—46).

ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—20)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაჩაშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.170)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—138

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—76)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.218)

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—36)

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მცხოვანი მგოსანი აკაკი** გუშინ, დილით, ტფილისში დაბრუნდა რაჭიდან. მგოსანს განზრახვა ჰქონდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო რაჭაში, მაგრამ ხელი შეუშალა პროფ. ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალებამ. მგოსანი ტფილისში ჩამოვიდა, რათა პირადად დაესწროს პროფ. ა. ს. ხახანაშვილის დასაფლავებას, აგრეთვე პანაშვიდებს.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** გუშინდლამდე ქალაქის გამგეობას განცხადებანი წარუდგინა და საარჩევნო სიებში ჩაწერა ითხოვა 244 ბინის დამქირავებელმა, რომელიც ბინის სახელმწიფო გადასახადს არ იხდის.

— გუშინ შეუდგნენ ქალაქის მოედნებსა და თვალსაჩინო ქუჩებზე საარჩევნო სიების გაკვრას.

— სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველთა კრება სამს განყოფილებად იქნება განაწილებული. პირველ განყოფილებაში შევა: 1, 2, 11 და 12 საპოლიციო უბნები, მეორეში: 7, 8 9 და 10 უბნები და მესამეში: 3, 4, 5 და 6 უბნები.

◆ გზათა მინისტრს რუხლოვს, რომელიც ამ ჟამად სოჭაში იმყოფება, ტფილისში ამ დღეებში მოელიან.

◆ **ტფ. ფოსტა ტელეგრაფის ოლქის** უფროსის თანაშემწე ინჟინერი კომელიკო საფოსტ.-სატელეგრაფო დაწესებულებათა რევიზიისათვის მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიასა და ბათომის ოლქში.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობასთან მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასა გაიხსნა.

◆ სოლოლაკის საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების ბინისათვის იქირავეს მანთაშევის სახლი პუშკინის ქუჩაზე.

◆ ქალაქის გამგეობის ექიმმა ქალმა ფონ-ნიკოლსივოვისამ **„ძველ ზემელის“** ქარხნიდან წაიღო სელტერის წყლის ნიმუშები შესამოწმებლად. ქიმიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ **ეს წყალი ყოვლად უვარგისია.**

◆ **ექსკურსია** ორშაბათს, 6 მარიამობისთვეს, **ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის სცენის-მოყვარენი** მომღერალთა გუნდი და სიმებიანი ორკესტრის დამკვრელები **მიემგზავრებიან მცხეთაში** და იქიდან არმაზში ძველი ეკკლესია-მონასტრების დასათვალიერებლად. ტფილისიდან გავლენ კვირა საღამოს და დაბრუნდებიან ორშაბათს საღამოთი. ვისაცა სურს მონაწილეობა მიიღოს, მან უნდა მიმართოს „ახალ კლუბში“ **თომა ნასიძეს.**

◆ **ექსკურსია.** პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელთა, რომელიც ჩამოვიდა პრ.-დოც. ნ. ს. დერჟავინის მეთაურობით, პეტერბურგს გაემგზავრება 16 აგვისტოს. ვინც 10 აგვისტომდე საგზაო ფულს არ გამოგზავნის, ან დროზე არ შეატყობინებს, ექსკურსიიდან ამოშლილი იქნება და მისი ალაგი კანდიდატს გადაეცემა. ფულისა და წერილის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: ტფილისი, „სახალხო გაზეთის“ რედაქცია, იოსებ ალ. გოგოლაშვილს. პირადად ნახვა შეიძლება 6—7 საათამდე. მეორე კირპიჩნი ტუპიკი, სახ. № 5.

◆ სტ. სოვ. მ. დ. ელჩუკოვს ტფ. გუბერნატორმა ნება დართო 12 აგვისტოს „სპორტის“ ბაღში მოაწყოს „საბავშო დილა“ და „სტუდენტების საღამო“, რომლის შემოსავალი გადაიდება კიევის უნივერსიტეტის კავკასიის სათვისტომოს ხელმოკლე წევრთა სასარგებლოდ.

◆ ცნობილ მოღვაწეს, მცხოვან ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს, როგორც გავიგეთ, წინამძღვარიანთკარის სკოლის ეზოში აუგია შენობა, სადაც მშვენიერი სცენა გაუკეთებია და დეკორაციებიც შეუძენია. ახალ შენობასა და თეატრის კურთხევას შემოდგომაზე აპირებენ.

◆ ს. პ.-ბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ნ. ს. დერჟავინი გურიაში გაემგზავრა., პეტერბურგის ალექსანდრე მესამის სახელობის მუზეუმის დავალებით მან უნდა შეისწავლოს გურიის ეტნოგრაფია და უნდა შეაგროვოს საეთნოგრაფიო კოლლექცია, რომელიც ჯერ შავის ზღვის კიდის გამოფენაზე იქნება გამოფენილი პეტერბურგში და შემდეგ მუზეუმის საეთნოგრაფიო განყოფილებაში.

◆ 2 აგვისტოს ტფილისში 43 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს, 4 აგვისტოს, საღამოს 7 კავკასიის მუზეუმის ამშენებელ უმაღლესად დამტკიცებულ კომისიის კრება შესდგება.

◆ ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე მოხდა საზოგადო კრება კავკასიის ვაჭართა საზოგადოებისა. თავმჯდომარეობდა ვ. ს. ეგიაზაროვი. კრებამ განიხილა საკითხი მოსამსახურეთა წესიერ დასვენების სავალდებულო წესების შესახებ და დადგინა: 1) მონაწილეობა მიიღოს ამ საკითხის შესახებ ქალაქის გამგეობასთან მოწვეულ შერეულ კომისიაში. 2) იშუამდგომლონ, რათა ვაჭრობის ნება დართონ დილის 8 და საღამოს 8 საათამდე, გარდა სანოვაგის სავაჭროებისა, რომელნიც უფრო ადრე უნდა გაიღონ და გვიან დაიკეტონ და 3) გაბათილება იმ დადგენილებისა, რომლის ძალითაც სახელმწიფო დღესასწაულებში უნდა დაჰკეტონ მაღაზიები. მაღაზიები დაკეტილი უნდა იყოს მხოლოდ ათთორმეტ დღესასწაულზე. თუ ეს დადგენილება კრებისა შერეულმა კომისიამ არ დაამტკიცა, მიჰმართოს კავკასიის ნამესტნიკსა.

ქუთაისი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა მეფუტკრე აპ. წულაძეს ნება დართო გუბერნიის სხვა და სხვა ადგილს საუბარი გამართოს მეფუტკრეობაზე. ბ. წულაძე წევრი და კორესპონდენტია კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებისა და ამ საზოგადოებისაგან ოქროს მედლით არის დაჯილდოებული თავის წიგნისთვის—„ფუტკარი და მეფუტკრეობა“. ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორმა ნება დართო ბ. წულაძეს სკოლის სადგომებში მოაწყოს ეს საუბრები.

◆ პირველი წყება კიევის სტუდენტების ექსკურსიისა შალვა ჩხიკვიშვილის მეთაურობით გავა ქუთაისიდან 10 მარიამობისთვეს ნაშუადღევის 1 საათზე. ვისაც სამგზავრო ფული არა აქვს გამოგზავნილი ჩხიკვიშვილი სთხოვს დაჩქარებით გაუგზავნონ ხონში ამ მისამართით: შალვა ჩხიკვიშვილს.

გორი

◆ ორშაბათს, ექვს მარიამობისთვეს, საზაფხულო საკრებულო დარბაზში, ბ. კოკი აბაშიძე წაიკითხავს ლექციას ქართულ ენაზე „რა გავლენა იქონია თანამედროვე რუსულმა ლიტერატურამ — თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე“. ამავე ლექციას იგი წაიკითხავს ს. წაღვერში 8 მარიამობისთვეს, და 10 მარიამობისთვეს—დ. სურამში. ეს ლექცია ბ. კოკი აბაშიძემ წაიკითხა ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში.

◆ შაბათს, 4 მარიამობისთვეს, 1912 წ. ადგილობრივ საზაფხულო კლუბის დარბაზში ტფილისის ქართულ თეატრის მსახიობ გ. არადელი-იშხნელის მონაწ. გაიმართება სახალხო წარმოდგენა. წარმოადგენენ ორ პიესას: ისტ. დრამა 3 მ. „არსენა“ ა ყაზბეგისა და „გლახა ქრიაშვილი“ ილია ქავქავაძისა; ადგილების ფასები განახევრებულია და ეს გარემოება და ამასთან ისიც, რომ წარმოდგენა დანიშნულია შაბათ დღეს, ხელს შეუწყობს გორის საზოგადოებას, უმთავრესად ბაზრის ხალხს და ამიტომ იმედია წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრობა. ბ-ნი არადელი-იშხნელი ამ საღამოს შეასრულებს ორ როლს—არსენას და გლახა ქრიაშვილს. („ქართ.“).

სოფლად

◆ **სოფელი დილომი.** კვირას მარიამობისთვის 5-ს საღამოს 8 საათზე ადგილობრივ სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ასიკო ცაგარლის ოთხ მოქმედებიან კომედიას: „ხანუმას“. ადგილების ფასი 20 კაპ. 30 კ—დე.

◆ **ჯუგაანი** (სიღნაღის მაზრა). „ჰუბათზე“ ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს დოხა (ალექსანდრე) კიკილაშვილი. ამ მკვლელობის გამო ექვსი ლეკი შეიპყრეს.

— აქაურმა სოფლის საზოგადოებამ ნიკო ზედელაშვილს რწმუნება მისცა, რათა ჭიათურის ხე-ტყე გაჰყიდოს.

◆ **სიღნაღის მაზრა.** სოფ. გუმბათი. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ალექსანდრე კიკაშვილი მოჰკლეს.

◆ **დ. ჩოხატაური.** 10 აგვისტოს აქ მსახიობი ა. ჯაყელი სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოადგენს „სიძე-სიმამრს“; ბოლოს იქნება ცოცხალი სურათები გურულების ძველ ცხოვრებიდან.

◆ **გარე-კახეთი.** სოფ. მალხაზივო. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა გამგეობამ ნება დართო სასოფლო სამმართველოსთან მიიღონ ყოველგვარი საფოსტო კორესპონდენცია. ტფ. ოლქმა ასეთივე ნებართვა მიიღო სადგურ ავჭალის შესახებ.

◆ **ტფ. მაზრა.** სოფ. შებათაშენი. იხსნება საფოსტო სატელეგრაფო განყოფილება.

◆ **აბასთუმანი** (ახალციხის მაზრა). 24 ივლისს აქ ყაჩაღებმა გაძარცვეს მგზავრები. ამის შესახებ შემდეგს გვაცნობებენ: აბასთუმნიდან გავიდა მოსეირნეთა ჯგუფი და 11 ვერსის მანძილზე ყაჩაღებს შეხვდნენ. ყაჩაღები, რომელნიც მაუზერებით, ბერდანებითა და რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი, შემოერტყნენ მათ და უბრძანეს ეტლიდან ჩამოსვლა. იქვე მომავალი ორი მგზავრიც შეიპყრეს და ყველა გაძარცვეს. წაიღეს 1120 მან. და ძვირფასი ნივთები. შემდეგ გაძარცვეს აგრეთვე ტყის მცველი, ერთი სოფლელი და მიიმალნენ. როგორც ეხლა გამოირკვა, მძარცველთა შორის ყოფილან: ზუგდიდის მაზრის, ს. საჩინოს მცხოვრები ერმალოზ შელია, ს. ჩაკვიდას მცხოვრები ლადო მარღანია და ს. ხიხულას მცხოვრები ესტატე საჯია. მათ შესაპყრობად ენერგიული ზომებია მიღებული.

ჟურნალისტის დღიური.

75.

ხახანაშვილის ანდერძი.

განსვენებულ ალ. ხახანაშვილის ანდერძმა ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რამდენად ძლიერი ყოფილა სიმპატია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი. ამ დაწესებულებას სწირავენ ფულს არა მარტო მრეწველნი; არა მარტო დიდი ქონების პატრონნი, მასვე სწირავენ თავიანთ შრომით მონაგარს ქონებას ისეთი პირნიც კი, რანაირიც ხახანაშვილი იყო. თვითოეული შენახული კაპეიკი უსათუოდ განსვენებულის პირადი ცხოვრების დანაკლისი იყო. მიუხედავად ამისა იგი მაინც იკლებდა და ბოლოს საკმაოდ დიდი თანხა უხუმრად, წყნარად სახალხო განათლების სამსხვერპლოზე დასდო.

შეწირულება წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წინათაც ბევრი ჰქონია. მიუხედავად ამისა, ეს შეწირულებანი თითქოს ნაკლებ კვალსა სტოვებდნენ ჩვენი საკულტურო საზოგადოების ცხოვრებაში, რადგანაც თვითოეულს მათგანს საგანგებო, თვით შემომწირველის მიერ შეზღუდული დანიშნულება ეძლეოდა. ამიტომა ჰხდებოდა, რომ ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანგებო თანხები იზრდებოდა და მიმდინარე საჭიროებებისთვის, პირდაპირ დანიშნულების შესასრულებლად კი ძალ-ღონე აღარ შესწევდა. ვერც სკოლები იყო დაყენებული ისე, როგორც სასურველია, და მრავალი სხვა მომწიფებული მოთხოვნილებაც ვერა კმაყოფილდებოდა.

განსვენებული ალ. ხახანაშვილის ანდერძი, თუ არა ვსცდები, პირველი ანდერძია ისეთი, რომელიც ქონებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სრულს განკარგულებაში აძლევს. საზოგადოებასაც საშუალება მიეცემა ცოტათი მაინც მოიბრუნოს სული და თავის პირდაპირ მიზნების განხორციელებას შეუდგეს.

ამ მხრით განსვენებულ ალ. ხახანაშვილის ანდერძის ეს მხარე იმდენად საყურადღებოა, რომ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას და არ აღინიშნოს... **შინაური**

ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

სადგურ ბალაჯარაში, განსვენებულ ხახანაშვილის ცხედარს დაუხვდა ბაქოს ქართველობა. ბ-ნმა ელიაშვილმა გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. დაესწრნენ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობის წევრები და სხვანი. ბაქოს ქართველობამ გადასწყვიტა გვირგვინის ნაცვლად ფული გადასცეს ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს.

ა. ს. ხახანაშვილის ცხედარი გუშინ, 3 აგვისტოს, მოასვენეს. მატარებელი გამოჩნდა 8 საათსა და 45 წუთზე. ბლომად შეგროვილმა ხალხმა ერთბაშად მოიხადა ქუდები. მატარებელი ნელა შემოგორდა და გაჩერდა. კუბო გადმოიტანეს და იქვე დაასვენეს. ყოვლად სამღვდელო ანტონმა, გორის ეპისკოპოსმა, მცირე პანაშვიდი გადაიხადა. შემდეგ ეტლზე დაასვენეს. პროცესია გაემართა ვოგზლის ქუჩით და მიხეილის პროსპექტით; გამოიარა კიროჩნი ქუჩა, გოლოვინის პროსპექტით მოვიდა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი, პანაშვიდს დაესწრო აგრეთვე ჩვენი მცხოვანი მგოსანი აკაკი.

გორის თვითმართველობამ 1 მარიამობისთვეს გაგზავნა ტფილისში ბ-ნი ზაქარია ქტიაშვილი, იმისთვის რომ გაიგოს დაწვრილებით პროფესორ ხახანაშვილის დაკრძალვის წესრიგ და რა ადგილი ექნება გორის თვითმართველობის წარმომადგენელს,

გაზეთებში უკვე მოხსენებული იყო, რომ განსვენებულმა პროფ. ხახანაშვილმა 45,000 მან. დაუტოვა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სახლი ქ. გორში—გორის ქალაქის თვითმართველობას, წიგნთსაცავი—ლაზარევის ინსტიტუტს. ახლა გამოირკვა, რომ ყველა ამის გარდა განსვენებულს უანდერძნია 1000 მანეთი ამას წინად მოსკოვში დაარსებულ ქართულ „მეცნიერულ და ხელოვნურ საზოგადოებისათვის“ და 10.730 მანეთი თავის დებისთვის, დისწულისთვის და სხვა და სხვა პირთათვის. განსვენებულს ფული უანდერძნია წერა-კითხვის საზოგადოებისთვის უპირობოდ—მაშასადამე, მას შეეძლება ნაანდერძევი ფული თავის პირდაპირ საჭიროებას მოახმაროს.

სამძიმრის დეპეშები.

ჩოხატაური. გული დაგვწყვიტა მეცნიერ ქართველ - მამულიშვილ ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ.

ხიდისთავის ვაჭრები.

ჩოხატაური. ხიდისთავის ინტელიგენცია იზიარებს ქართველ ერის საყოველთაო მწუხარებას და გლოვობს იშვიათ ქართველ მამულიშვილის დაკარგვას.

ქუთაისი. დონის პოლიტეხნიკუმის ქართველთა სათვისტომო ულრმეს მწუხარებას აცხადებს ახალგაზდა პროფესორისა თანამემამულე ხახანაშვილს უდროოდ გარდაცვალების გამო.

სტუდენტი ჯაიანი.

ნაძალადევის თეატრი. სადღესოდ დანიშნული წარმოდგენა, „დამნაშავის ოჯახი“ პროფეს. ხახანაშვილის პატივისაცემად გადაიდო მომავალ შაბათ, 11 აგვისტოსათვის.

სიღნაღი. მთელ საქართველოსთან ერთად ულრმესად ვგლოვობთ დაუღალავ მოღვაწე პროფესორის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის დაკარგვას.

ქვემო მაჩხაანის ინტელიგენცია.

ბორჯომი. მიიღეთ ჩვენი ულრმესი მწუხარება დაუვიწყარ პროფესორისა და საზოგადო მოღვაწე ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალების გამო, რომლის ხსოვნაც არაოდეს არ წაიშლება დაობლებულ ქართველთა გულიდან.

მარიამ, ნინო, სოფიო, ელენე და იოსებ ბახტაძენი, მარიამ ქავთარაძე, ნოე მიქაძე.

ლაგოდეხი. გული დაგვწყვიტა ცნობილი პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ.

ლაგოდეხელნი

ქუთაისი. ქუთაისის სადგურის მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი, მწარედ დანაღვლიანებული პროფესორ ხახანაშვილის გარდაცვალებით, უკანასკნელ სალამს ვუძღვნით. მისი დაუცხრომელი სამეცნიერო ღვაწლი საქართველოს სასიქადულოდ ჩაითვლება.

სპირიდო სპირელი, გიორგი ქებაძე, პლატონ ბოკერია, ონისიმ გრძელიშვილი, გიორგი ლუტიძე, ვასილ წუთიძე.

წაღვერი. ულრმესად დაგამწუხარა ქართველ ერის სასიქადულო, დაუცხრომელ მოღვაწე მეცნიერის, სამშობლოსათვის მოსაქმე პროფესორ ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავმა. მისი გარდაცვალებით ქართველმა ერმა დაკარგა სამშობლოს ერთი ამაღორძინებელთაგანი. მაგრამ გვწამს, რომ ეროვნულ თვითშეგნებას მის მიერ გაჭოხიერებულ ნიადაგზე აღიზრდება ღირსეული განმაგრძობნი მის მიერ დაწყებულ საქმისა. მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი ვახდევინეთ ადგილობრივ საკრებულო ტაძარში, დიდძალ ხალხის თანადასწრებით.

დაბა ცაგერი, ლეჩხუმის მაზრისა. ცაგერის ინტელიგენცია.

მოლითი. მოღვაწე პუბლიცისტ პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ დიდად დაგვაღონა.

ილია ფერ ძე, სერგო გორგაძე, მღვდელი მხატრიშვილი.

ა. ს. ხახანაშვილის ანდერძი

„1912 წ. 25 ივლისს, მე, ამისა ქვემორე ხელის მომწერელმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილმა, სრულიად საღს გონებასა და მტკიცე მეხსიერებაში მყოფმა, მოსალოდნელ სიკვდილის გამო, ანდერძსა ვტოვებ ჩემის ქონების თაობაზე: ჩემს დას დარია სოლომონის ასულს ინიაშვილისას უანდერძებ სამას თუმანს, ელენე სოლომონის ასულს გვარამაძისას—სამას თუმანს, ჩემს ბიძაშვილს, მღვდელს თეოფილაქტე ლაფერაშვილს სამას თუმანს, ტატიანა კაზაკოვისას—სამას თუმანს, ექიმს ვლადიმერ ალექსახდრეს ძე ნემსაძეს—ას თუმანს, ექიმს გაბრიელ გრიგორის ძე ღამბარსშვილს—ორმოცდა ათ თუმანს, ივანე სვიმონის ძე მაისურაძეს—ას თუმანს, მოწყალების დას ანისა დიმიტრის ასულს ჰუბარინას—ოც თუმანს, მოსკოვის ქართველთა მეცნიერებისა და ხელოვნების საზოგადოებას ას თუმანს, სრული ჩემი დანარჩენი მოძრავი ქონება, სადაც უნდა იყოს იგი და რასაც უნდა შეიცავდეს, მიანდერძებია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათ-

---

გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(შემდეგი *)

ვერლე. კიდევ დაგკეტეს?

გრობერგი. დიაღ, და ფლაკშტადმა გასაღებიც თან წაიღო.

ვერლე. მაშ აქეთ გაიარეთ.

გრობერგი. იქ დარჩა კიდევ...

ვერლე. გაიარეთ, ორთავემ გაიარეთ. (კანტორიდან გამოდიან გრობერგი და მოხუცი ეკდალი. ვერლე უნებურად) აჰ! (სტუმრები გაჩუმდებიან. ჰიალმარი დაინახავს თავისს მამას, შეკრთება, მისდგავს იქით თავისს ჭიქას და ბუხრისკენ მიბრუნდება).

მოხ. ეკდ. (არავის უცქერის, ორივე მხარეს ოდნავ უკრავს თავსა) უკაცრავად... კარები დაკეტილი იყო... უკაცრავად.,. (გავლენ).

ვერლე. (კბილების ღრჭენით) წყეული გრობერგი!

გრეგ. (უცქერის ჰიალმარს) ნუ თუ ეს იყო...

კამ. კასპ. ეგ ვიღა იყო?

გრეგ. ეს ბუხჰალტერია და ერთიც იმასთან...

კამ. კასპ. (ჰიალმარს) თქვენ იცნობთ?

ჰიალმ. არა... არ დამინახია.

კამ. ფლორი. (ადგება) რა ამბავია? რა მოხდა? (მიდის სხვებთან, ჩუმად ლაპარაკობენ ერთმანეთში).

სიორბე. (ხმა დაბლა) პეტერსენ, მიეცით რამე...

პეტ. (თავს უკრავს) ბატონი ბძანდებით! (მიდის).

გრეგ. (შემკრთალი, ჩუმად ჰიალმარს) მართლა ის იყო?

ჰიალმ. ჰო.

გრეგ. მერე, შენ არა სთქვი, არ ვიცნობო?!.

ჰიალმ. (ჩუმად, გრძნობით) მაშ, როგორ შემეძლო...

გრეგ. უარი არ გეთქვა მამაშენზე?

ჰიალმ. (მწარედ) შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ადგილას.

(სტუმრები, რომლებიც აქამდის ჩუმად ბაასობდნენ,—ხმა მაღლა დაიწყებენ ლაპარაკს.)

კამ. ბალლე. (მიდის ჰიალმარსა და გრეგრესთან) წარსულ სტუდენტურ ცხოვრების მოგონებათა ნაკადულს მისცემიხართ, ჰა! თუთუნს არ ეწევით, ბ-ნო ეკდალ? არა გსურთ ცეცხლი? აჰ, მართლა აქ ხომ აკრძალულია თუთუნის წევა.

ჰიალმ. დიდათა გმადლობთ, არ გიახლებით.

კამ. ფლ. იქნებ, რომელიმე კარგი ლექსი წაგვიკითხოთ, ბ-ნო ეკდალ? უწინ თქვენ კარგადა კითხულობდით.

ჰიალმ. საუბედუროდ აღარც ერთი ლექსი აღარ მაგონდება.

კამ. ფლ. მაშ, რა გავაკეთოდ ეხლა, ბალლე? (გადიან მეორე ოთახში).

ჰიალმ. (დაღვრემილი) მე წავალ, გრეგერს. როცა ადამიანი გამოსცდის მრისხანე ბედის შემმუსრავ ძალას თავისს თავზე... თითონ მიხვდები... გადაეცი მოკითხვა მამაშენს.

გრეგ. ჰო, ჰო, რასაკვირველია... პირდაპირ სახლში წახვალ?

ჰიალმ. ჰო, რათა მკითხავ?

გრეგ. იქნებ მერე შენთან მოვიდე.

ჰიალმ. არა, გთხოვ ჩემთან ნუ მოხვალ. ჩემს სახლში, გრეგერს, მხოლოდ მწუხარება და სიცალიერეა... მეტადრე ამ ბრწყინვალე დარბაზების შემდეგ. ისევ სხვა, რომელსამე ადგილას შევხვდეთ ერთმანეთს.

სიორბე. (მიუხლოვდება, ხმა დაბლა) მიხვალთ, ეკდალ?

ჰიალმ. დიახ.

სიორბე. გინას ჩემგან მოკითხვა გადაეცით.

ჰიალმ. გმადლობთ.

სიორბე. ამ დღეებში შემოვივლი, ვნახავ.

ჰიალმ. დიდად სასიამოვნოა. (გრეგრესს) დარჩი აქ, მე კი შეუმჩნევლად წავალ. (გადის ჩქარის ნაბიჯით მეორე ოთახში და იქიდან მარჯვნივ).

სიორბე. (პეტერსენს, რომელიც შემოდის) მოხუცს მიეცით რამე?

პეტ. ერთი ბოთლი კანიაკი ჩაუდგი ჯიბეში.

სიორბე. ნუ თუ მაგაზე უკეთესი ვერაფერი ნახეთ?!

პეტ. კანიაკზე უკეთესი მისთვის არაფერია ქვეყნად.

კამ. ფლ. (კარებიდან. ხელში ნოტების რვეული უჭირავს) თუ გსურთ, დაუკრათ რამე, ქ-ნო სიორბე.

სიორბე. ბატონი ბძანდებით, დიდის სიამოვნებით!

სტუმრები. ვაშა! ვაშა! (ქ-ნი სიორბე და მთლად სტუმრები გადიან მეორე ოთახიდან მარჯვნივ. გრეგრესი რჩება ბუხართან. კამერსანტი ეძებს რაღასაც საწერლო მაგიდაზე, თითქოს ამით სურვილს აცხადებს გრეგერსი წავიდეს. გრეგერსი ამას ვერა გრძნობს. ბოლოს კამერსანტი ვერლე მიდის გასავალ კარებისაკენ).

გრეგ. მამავ!

ვერლე. (შეჩერდება) რა იყო?

გრეგერ. მოლაპარაკება მინდა შენთან.

ვერლე. ნუ თუ არ შეიძლება მოიცადო, როდესაც მარტონი დავრჩებით?

გრეგერ. არა, რადგანაც შესაძლებელია მარტონი ვერ დავრჩეთ.

ვერლე. რა ამბავია? (ქვემოდ მოყვანილი სცენის დროს ისმის ფორტეპიანოს ხმა.)

გრეგერ. როგორ მოხდა, რომ ის ოჯახი ასე დაეცა?

ვერლე. თუ არა ვცდები, ეკდალებზე უნდა ლაპარაკობდე?

გრეგერ. დიაღ, ლეიტენანტი ეკდალი ოდესღაც შენი ძალიან მახლობელი მეგობარი იყო.

ვერლე. სამწუხაროდ, ძალიან მახლობელი. აი უკვე რამდენიმე წელია ამას საკმაოდ ვგრძნობ. ამის მიზეზით ჩემს პატიოსან სახელს რამოდენადმე ლაქაც მოეცხო.

გრეგერ, (ხმა დაბლა) და მართლაც ის იყო ერთად ერთი დამნაშავე?

ვერ. მაშ კიდევ ვინ?

გრეგ. თქვენ ორთავემ ერთად იყიდეთ ის დიდი ტყე.

ვერ. მაშ იმ ადგილის გეგმა, ის ტყუილი გეგმა, შენის აზრით ეკდალმა არ აიღო? ან სახელმწიფო ტყე უკანონოდ იმან არ გაკაფა? ის მარტოდ განაგებდა იქ, მთებში, ყველა საქმეს. მე მცირედი წარმოდგენაც კი არა მქონია იმისა, თუ რას სჩადიოდა იქ ლეიტენანტი ეკდალი.

გერ. ლეიტენანტ ეკდალმა, რასაკვირველია, არც თითონ იცოდა რასა სჩადიოდა.

ვერ. შესაძლებელია, მაგრამ ის გაამტყუნეს და მე კი გამამართლეს.

გერ. ვიცი, საბუთების უქონლობის გამო.

ვერ. გამართლება - გამართლებაა. რად დაგჭირდა კვლავ გამოშლა მაგ ძველი არა სასიამოვნო ამბებისა, რომელთაც უდროვოდ დამაბერეს? ნუ თუ მთებში ამდენი ხნის განმავლობაში მაგაზე იმტვრევდი თავსა? შემიძლიან დაგარწმუნო, გრეგერს, აქ, ქალაქში, ეგ ამბავი დიდი ხანია ყველამ დაივიწყებას მისცა... ჩემს შესახებ მაინც...

გრეგ. მაგრამ ეკდალის უბედური ოჯახი...

ვერ. მაშ, შენის აზრით რა უნდა მეშველა იმათთვის? ეკდალი რომ საპყრობილედან გამოუშვეს, ის უკვე სრულებით დაცემული კაცი იყო და მისი შველა აღარ შეიძლებოდა. არის იმისთანა ხალხი, რომელიც მკაცრი ბედის ორი-სამი უბრალო ხელის-კვრით ეცემა სულით, იძირება და თავისს დღეში ვეღარ იმართება წელში. შეგიძლიან დამიჯერო, გრეგერს, რომ ბევნაირი საშუალება ვცადე, მაგრამ ჩემი ვნება, ან რამ ექვისა და საჭორაო მასალის მიცემა ხალხისთვის კი არ მინდოდა და არც შემეძლო.

გრეგ. ექვისა... რასაკვირველია, რასაკვირველია.

ვერ. მე ვუბრძანე ეკდალისთვის გადასაწერად ეძლიათ კანტორის ქაღალდები და მომეტებულ ფასს ვაძლევ, ვიდრე იმისი შრომა ღირს.

გრეგ. (არ უცქერის) ჰმ, მაგაში დარწმუნებული ვარ!

ვერ. დამცინი? იქნებ არა გჯერა? დავთრებში, რასაკვირველია ეს ჩაწერილი არ არის: მაგგვარ გასავალს დავთრებში არა ვწერ ხოლმე.

გრეგ. (ცივი ღიმილით) დიაღ, არის ზოგი იმისთანა ხარჯი, რომელიც სჯობიან წიგნებში არ შევიტანოთ.

ვერ. (გაკვირვებით) მაგით რა გინდა სთქვა?

გრეგ. (ძალდატანებითი გაბედულობით) გაატარე მაგალითად შესავალ-გასავლის წიგნებში შენი დანახარჯი ჰიალმარის მიერ ფოტოგრაფიის შესწავლაზე.

ვერ. გავატარე? ე. ი. როგორ.

გრეგ. ეხლა მე ვიცი, რომ მაგის ხარჯი შენ მიეცი და მოწყობის საღირალიც დიდსულოვანად შენვე გაუზომე.

ვერ. მერე? კიდევ ამბობ, რომ ეკდალებისთვის არაფერი გამიკეთებია? შემიძლიან დაგარწმუნო, რომ იაფად არ დამიჯდნენ ეს ბატონები.

გრეგ. და ამ ხარჯებიდან ერთი მაინც გაატარე წიგნებში?

ვერ. მაგას რადა მკითხავ?

გრეგ. ამისი მე ჩემი მიზეზები მაქვს. მითხარი ერთი, თუ ღმერთი გწამს, აი, შენ ესე გულთან ახლო მიიღე შენი ძველი მეგობრის შვილის ბედი... იქნებ გახსოვს, შემთხვევით ეს სწორედ იმ დროს ხომ არ მოხდა, როცა ჰიალმარმა ცოლის შერთვა დააპირა?

ვერ. ეშმაკმა იცის... განა შემიძლიან ამდენი ხნის შემდეგ...

გრეგ. მაშინ წერილსა მწერდი, რასაკვირველია რაღაც საქმის შესახებ, და ბოლოს მოკლედ მატყობინებდი, რომ ჰიალმარ ეკდალი ირთავს ვიღაც განზენსო.

ვერ. ეგ სრული ჭეშმარიტებაც იყო. იმას ეძახდნენ განზენს.

გრეგ. დიაღ, მაგრამ იმას კი, რომ ეს ვიღაც განზენი ჩვენი ძველი ეკონომკა გინა განზენი იყო, შენ არა მწერდი.

ვერლე. (გესლიანად, მაგრამ ნაძალადევი სიცილით). რა ვიცოდი, თუ ეგრე გაინტერესებდა ჩვენი ძველი ეკონომკას ბედ-იღბალი.

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 665.

ვის, გარდა ჩემის ბიბლიოთეკისა, რომელიც იმყოფება მოსკოვში და რომელსაც ანდერძად ვუტოვებ აღმოსავლეთის ენათა ლაზარევის ინსტიტუტს მოსკოვში. სამოსახლო მიწა, შენობები, რომელიც ქალაქ გორში (ტფ. გუბ.) მდებარეობს, მიანდერძებია გორის ქალაქის თვითმართველობისათვის, რათა იქ გაიხსნას ქართული სკოლა უსასყიდლო სწავლებით. **ხახანაშვილი.**“

ალ. ს. ხახანაშვილის ხსოვნას.

ალ. ს. ხახანაშვილის ასე უდროოდ გარდაცვალება ძლიერ დიდი ეროვნული უბედურებაა. ქართველი მეცნიერნი ძლიერ და ძლიერ ნაკლებ რიცხოვანნი არიან. ჩვენი ახალგაზდობა, რაღაც უცნაურ მიზეზებისა გამო გაურბის მეცნიერებას, მოღვაწეობას სამეცნიერო ასპარეზზე. ქართველი მეცნიერი მაჩვენებელია იმისა, რომ ხალხის დედა-გულში ძლიერი ძალები, ჯან-საღი სული არის, რომელიც წარმოშობს მეცნიერ მუშაკს, მეცნიერ მოღვაწეს. აი ის მიზეზი, რომელიც ნებას გვაძლევს აღტაცებით მივეგებოთ თვითეულ ახლად მოვლინებულ მეცნიერ ქართველს. მაშასადამე, მეტის-მეტი მწუხარებით უნდა აივსოს ჩვენი გული და სული, როდესაც მცირე გუნდს ქართველ მეცნიერებისას გამოაკლდება თვალსაჩინო მუშაკი.

ალექსანდრე სოლომონის ძემ ხახანაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს წარსულის შესწავლას; იგი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში თავ-დავიწყებით ემსახურებოდა საქართველოს, მის წარსულსა. რუსეთის საზოგადოებას, რუსეთის მეცნიერებას მუდმივ ესაუბრებოდა იმის შესახებ, თუ რა იყო საქართველო წარსულ ცხოვრებაში და რა არის საქართველო დღეს. ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ენებზე დაბეჭდილ შრომებში ამასვე აუწყებდა განათლებულ ევროპას. არ ყოფილა ისეთი კონგრესი, კრება ორიენტალისტებისა, არქეოლოგებისა, რომელზედაც ალ. ს. ხახანაშვილი არ დასწრებოდა, და მრავალ ჯერ არ მიექცია მეცნიერების ყურადღება საქართველოსათვის საგანგებო მოხსენებებით.

ა. ს. ხახანაშვილის ნაბეჭდი შრომების რიცხვი ჩემის დაახლოვებით გამოანგარიშებით აღემატება 300, რასაკვირველია ამ დიდ რიცხოვან შრომებში ბევრი ისეთია, რომ დღეს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ საქმე ამაში როდი არის; ალ. ს. ხახანაშვილი მუდმივ იმის ცდაში იყო, რომ საქართველოს შესახებ რამე ეთქვა, ყურადღება მიექცია, ვისიც ჯერ იყო.

ვინ არ იცის, რომ რუსეთის უნივერსიტეტში ორიოდე—სამიოდე კაცის მეტი არ იმყოფება, ვინ არ იცის, რომ საგანგებო კათედრა მხოლოდ სატახტო უნივერსიტეტშია, ერთი მათგანი დაობლდა და ჩვენთვის მეტის-მეტათ სავალალო და საფიქრებელია, დარჩება ეს კათედრა მოსკოვის უნივერსიტეტში, თუ არა, ან და ვინ იქნება ღირსეული მემკვიდრე ალ. სოლ. ხახანაშვილისა.

მე აზრადაც არა მაქვს აქ დავახასიათო ალ. სოლ. ხ—ლის მოღვაწეობა, ამისათვის გაზეთის ფურცლები საკმარისი არ არის. მე მხოლოდ ისე საერთოდ შევეხე მის მოღვაწეობას.

კეთილ და დამსახურებული მამულიშვილს დაფასება სჭირია, ეს ჩვენი მოვალეობა არის; ამას მომავალისათვის აღმზდელობითი მნიშვნელობა აქვს. აი დღეს აქაურ გაზეთში ამოვიკითხე ცნობა, რომ თვისი შეძლება ალ. ს. ხ—მა წ. კ. გ. საზოგადოებას უანდერძაო.

სიღარიბის გამო ბევრს ვერაფერს ვიზამთ, ცოტა კი, შეძლებისა დაგვარად, უნდა მოვახერხოთ. მე მივმართავ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას იკისროს შემდეგი: გამოსცეს ქართულად და რუსულათ ბიბლიოგრაფია იმისა, თუ რაც დაუბეჭდია ა. ს. ხახანაშვილს, მოკლე განხილვით მისი შრომებისა, ეს იქნება საუკეთესო გვირგვინი ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის კუბოზედ.

ოდესა **სიმონ ავალიანი.**

პატარა შეცდომა

გაზეთ „ქართლის“ 27 ივლისის ნომერში (№ 15) ერთ-ერთი მოგზაურთაგანი, მოუთხრობს მკითხველებს ატენის ხეობაში მოგზაურობის ამბავს, სხვათა შორის ბრძანებს, ფავ. გრ. ერისთავისეულ მამულში ენკენისთვიდან ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ხელახლად ჰხსნის სკოლას, რომელიც ოთხი წლის წინად იყო დაარსებული ·ისგან, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო დაიკეტაო. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობა მართალი არ არის. ენკენისთვიდან ატენში მოქმედებას განაახლებს არა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა, არამედ არსდება სრულიად ახალი პირველდაწყებითი სკოლა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა. ამ სკოლის დაარსებაში ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მონაწილეობა არ მიუღია, იგი არსდება ადგილობრივ მემამულის კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით, თანახმად ატენის მცხოვრებთა სურვილისა და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას დაექვემდებარება. სკოლის გახსნისა და შენახვის ხარჯში მონაწილენი არიან ატენის მცხოვრებლები, კნ. მ. ვ. ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა და წერა-კითხვის საზოგადოება.

სახელმწიფო სათათბიროს

ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ჰქონია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ჰქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს სათათბიროს არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, მოვალეა, დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის გამგეობაში (12 ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე ტფილისში და სხვ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა; წინააღმდეგ შემთხვევაში სიაში ვერ შეიტანენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა—ერთი წელიწადი,—მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, არ ერთმევა საარჩევნო უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ეხლაც შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ტფილისში ეს მოხდება 8 აგვისტოს, ქუთაისში კი 12 ივლისს), შემდეგ დაგვიანებულ იქნება. ისინი, ვისაც არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი, და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდნენ, დრო არ გაუშვან, ხელიდან შემდეგ, როცა ერთი წლის ვადა გავა. განცხადება უნდა შეტანილ იქნეს ქალაქის მოურავის სახელზე საქმე დღით, დილის ათ საათიდან. აი განცხადების ფორმა: ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

განცხადების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, ერთი წლის განმავლობაში როდის გაქვთ დაქირავებული.

ასეთ მოწმობად გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული ხელშეკრულებანი, თუ მის შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა, ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი ხელშეკრულებანი იშვიათად არის და ჩვეულებრივ შინაურ პირობებით მოხდება ხოლმე ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას უნდა წარედგინოს ან ბინის წიგნი, თუ ასეთი მოიპოვება, სახლის პატრონის, ან მისი მოადგილის მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ჰქირაობდა. დასახელებულ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას სადერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

ვინაიდან ყველაფერი ეს კარგა დროს მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ეხლავე შეუდგნენ თადარიგს. როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება რუსულად უნდა დაიწეროს.

ჩხუბი არაფერზე.

(„დნენ“ თუ „დენ?“)

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ჩვენში ქართულ ენის შესახები წერილები, რასაც არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებოთ, როგორც სამშობლო ენისადმი ინტერესის გაღვიძების მაჩვენებელს, მაგრამ... უმაგრამოდ ხომ არაფერი შეიძლება! მრავალ სხვა და სხვა საგულისხმიერო აზრთა შორის უფრო მწვავედ იჩინა თავი ერთმა, ჩემის აზრით, არც იმდენად მნიშვნელოვანმა საკითხმა ნამყო უსრ. მრავლ. რიცხვი მესამე პირის დაბოლოების შესახებ: **დენ** **თუ დნენ?**

ერთი ორი სიტყვა ამ საკითხის შესახებ მეც მსურს მივუმატო მრავალ წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ ბოლო დროს „სახ. გაზ.“. ამ გაზეთის 655—656 №№-ში მოთავსებული იყო ბ. თ. სახოკიას წერილი, რომელშიაც პატივცემული ავტორი, ეკამათება რა ბ. ბ. ივ. ავალიშვილს, ამტკიცებს, რომ ქართული ენის კანონი **მოითხოვს** ნამყ. უსრ. მრავლ. რიც. მესამე პირ. დაბოლოებაში ვხმაროთ **დენ**-ს და არა **დნენ**-ს. სამწუხაროდ ეხლა ხელთ არა მაქვს ბ. თ. სახოკიას პირველი წერილი ქართულ მართლწერის შესახებ, არც ბ. ავალიშვილის წერილი, ამიტომ იძულებული ვარ მთლად ბ. სახოკიას მეორე წერილს დავეყრდნო, მაგრამ, იმედი მაქვს, ეს არც იმდენი ნაკლი იქნება ამ ჩემ წერილისთვის. ბ. სახოკიას სიტყვები: „შემოქმედებითისა და აგრეთვე ვნებითის სახის ზმნის ნამყო უსრულის დროის მრავალ რიცხვის მესამე პირის დაბოლოებას **ენ**-სა როცა **დ** უძღვის წინიდან, იმათ შუა **ნ**-ის ჩამატება მეტია მეთქი. ვიმოწმე ძველი მწერლობა როგორც სასულიერო, ისე სახორციელო, ვიმოწმე ნ. ბარათაშვილი და აკაკი, დასასრულ, ვიმოწმე მთელის დასავლეთ საქართველოს მოლაპარაკე ხალხი. არ გვეგონა თუ ეს მოკლედ, თუმცა მკაფიოდ აღნიშნული კანონი მართლწერისა დააეჭვიანებდა ვისმე“. ამ აზრის იყო ბ. თ. სახოკია პირველ წერილის შემდეგ. ახლა ხომ მით უმეტეს ეჭვები ყველას უნდა დაჰფანტოდეს და უსიტყვოდ უნდა მიიღოს ეს „მკაფიო“ კანონი. მაგრამ აი მე, და მრავალი ჩემი თანამოაზრენი იმავ აზრს ვადგევართ და ისევე ვხმარობთ **სწერდნენ, ჰკითხულობდნენ** და არა **სწერდენ, ჰკითხულობდენ**. და რომ ეს უბრალო სიჯიუტეში არ ჩამოგვართვან, ვეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი აზრი.

ბ-ნი თ. სახოკია თავის აზრს ამყარებს ძველ მწერლობაზე, აკაკისა და ნ. ბარათაშვილის ენაზე და მთელ დასავლეთ საქართველოს მოლაპარაკე ხალხზე. ძველ მწერლობას რომ თავი დავანებო, ჩემთვის გაუგებარია, ბ. თ. სახოკიას რატომ მოჰყავს მაგალითები აკაკიდან და არა ილია ჭავჭავაძიდან, ნ. ბარათაშვილიდან და არა გრ. ორბელიანიდან, რად ემყარება იგი მთელ დასავლეთ საქართველოს მოლაპარაკე ხალხს და არა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოლაპარაკე ხალხს? მართალია, ბ-ნი თ. სახოკია, როდესაც ბრძანებს, რომ აკაკი და ბარათაშვილი ხმარობდნენ **დენ**-სო, მაგრამ მეც მართალი ვიქნები, როცა ვიტყვი რომ იმავე მწერლების ლექსებში შეხვდებით: „მაგრამ მესწრაფლადვე **გახშირდნენ** მწარენი ჭირნი გულისა“ (დამქროლა ქარმან სასტიკმან); „და მტერნი ძლიერ მაშინ **მოგვატყდნენ**“ (ბედი ქართლისა, II ნაწ.); „მე და მამუკა გორს გადავედით, იქ **დაგვხვდნენ** ელენე, მანანა...“ (წერილი ზაქ. ორბელიანის მიმართ, 1844); „მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა ვხედავდე თავისუფალსა, რომ ძალით ვერ **აშინებდნენ**, ვერც ნებით **უხვევდნენ** თვალსა! მინდა, რომ მისი სახელი გაისმას ძველებურადა და მისიანნი ყველანი ერთად **სცხოვრობდნენ** ძმურადა“ (სურვილი).

მეტია იმის ლაპარაკი, რომ ბარათაშვილის თანამედროვე ორბელიანი, აკაკისთან ერთად სამწერლო ასპარეზზე გამოსული ილია მუდამ სწერდნენ და ამბობდნენ: **ამოვიდნენ, ჰკითხულობდნენ**. ბ. თ. სახოკიამ თვის აზრის დასამტკიცებლად დასავლეთ საქართველო იმოწმა. მე კი ქართლ-კახეთი მსურს ვიმოწმო, რით დამიმტკიცებს იგი, ბ. სახოკია, რომ ჭეშმარიტება ლიხის მთის იქით ა და არა აქეთ? სრული სიმართლეა ბ-ნ სახოკიას ნაბძანები, რომ ძველ მწერლობაში იხმარებოდა ფორმები: **ჰხვედ ან, მოვიდეს**, რომ შემდეგ ეს დაბოლოებანი **იან, ეს** შეიცვალა **ენ**-ად; აქედან ერთი ნაბიჯი, და ბ-ნი სახოკია აღიარებდა, რომ კიდევ შემდეგ **დ**-ის და **ენ**-ის შუა ჩაერთვა **ნ**, რომელიც თანამედროვე ენაში სრულ კანონიერად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ბ. თ. სახოკია, რჩეობს შუა გზაზე გაჩერებას, და დაჟინებით მოითხოვს უარ ვყოთ ეს, მისის აზრით, ზედმეტი ხმა.

საერთოდ, [illegible] ზოგადი ნაკლი შევნიშნე, და ეს ნაკლია მიზეზი, რომ [illegible] ტივი და აშკარა, ამდენ ლაპარაკს იწვევს. ეს ნაკლია—ენის შესწავლა—გამოკვლევის დროს განსაზღვრულ თვალსაზრისის უქონლობა, ვიკვლევთ ენის კანონებს მის თანამედროვე ყოფაში, თუ თვალს ვადევნებთ მის თანდათანობით, ისტორიულ ვითარებას, დასკვნა ერთი და იგივე არ იქნება. ამ აზრის უკეთ ნათელყოფისთვის ავიღოთ მაგალითი თუნდა რუსულ ენიდან. თანამედროვე რუსულმა (მოსკოვის კილომ) არ იცის ფორმები смотрят. ходят. იგი ამ შემთხვევაში ათანაბრებს ორ სხვა და სხვა ფორმას: смотрят და читают და ორგანვე ხმარობს—ют-ს: смотрют, ходют, читают. ეს კანონია თანამედროვე რუსულისა და მის წინააღმდეგ ლაშქრობა უნაყოფო იქნება. ისტორიულად კი, რასაკვირველია ეს სწორე არ არის, და აკი იმიტომაც, თუმცა ამბობენ смотрют, მაგრამ სწერენ კი: смотрят. ჩვენ კი, როგორც მრავალ წერილს შევნიშნე, ამ ორ საკითხს არა ვასზღვრავთ: ვკამათობთ თანამედროვე ენის შესახებ, მხედველობაში კი მუდამ ძველი მწერლობა გვაქვს, და წინააღმდეგაც. ამიტომ არის, რომ თვით ბ. სახოკიას ბძანების არ იყოს, ასეთი მკაფიოდ აღნიშნული კანონი მართლწერისა ეჭვსა ჰბადავს და ამდენ ლაპარაკს იწვევს. ოღონდ ვერ დავეთანხმებით ბ. სახოკიას ამ კანონის შინაარსზე, და აი რატომ. ცნობილია მეცნიერებაში, რომ საუკეთესო მართლწერად იგი მართლწერა უნდა ჩაითვალოს, რომელიც უფრო სწორედ გადმოსცემს ენის ფონეტიკურ მხარეს. ეს ადვილი მისახვედრი იქნება ყველასთვის, ვინც დაჰკვირვებია ენას, ვისაც გაუთვალისწინებია სიტყვისა და წერის შორისი დამოკიდებულობა.

(დასასრული იქნება)

ს. ვაჩნაძე.

მოწერილი ამბები

სოფ. გურჯაანი (კახეთი). წელს პირველ აპრილიდან მთელ საბოქაულოდან თით სოფლიდან თითო კაცია დაჭერილი, სულ 9—კაცი, თვიურად 25 მან. თითო. ეს 9 კაცი გურჯაანში არიან, როგორც ბოქაულის სამყოფ სოფელში. ეს რაზმი თელავის მაზრაში ძოთარეზე ყაჩაღთა დასაჭერად არის შემდგარი.

თითო-ოროლა ამათგანი ახტალაზეა მიჩენილი წესრიგის დასაცველად დანარჩენნი ბოქაულის კარზე არიან.

გრეგერსი. არა, ეგ არც ისე იყო, მაგრამ... (ხმას უდაბლებს) ჩვენს სახლში იყვნენ სხვებიც, რომელთაც ეგ ძალიან აინტერესებდა.

ვერლე. მაგით რა გინდა სთქვა? (წამოხტება) მგონი შენ ჩემზე ამბობ?

გრეგერსი. (ხმა დაბლა, მაგრამ მტკიცედ). დიახ, შენა მყავხარ სახეში.

ვერლე. და განა გაბედე... ნება მიეცი შენს თავს! და ის უმადური ფოტოგრაფი ჰბედავს მოვიდეს აქ, ჩემს სახლში, მაგისთანა ფლიდი...

გრეგერსი. ჰიალმარს ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. ჩემი აზრით იმან არც კი იცის არაფერი.

ვერ. მაშ ვინ გითხრა? ვის შეეძლო ჩაენერგა შენთვის მაგგვარი აზრები?

გრეგ. ეგ მითხრა ჩემმა საწყალმა, უბედურმა დედამ, უკანასკნელად რომ ვნახე, მაშინ.

ვერ. დედაშენმა? უწინვე როგორ ვერ მივხვდი ამას? თქვენ ყოველთვის ერთი აზრისანი იყავით და იმანვე აგამხედრა ჩემს წინააღმდეგ.

გრეგ. არა, მე ამამხედრა იმ წვალებამ და ტანჯვამ, რომელიც იმან გამოიარა აქ, სანამ არ დაემონა მას და ისე საზარლად არ დაიღუპა.

ვერ. არა, ტანჯვა და წვალება კი იმას არა ჰქონია; მაინც და მაინც არა მეტი, ვინემ ყველას. მაგრამ ავადმყოფსა და სულელ ხალხთან მორიგება შეუძლებელია. ეს საკმარისად გამოვცადე. ახლა კიდევ მოდიხარ შენ და მაგისთანა ეჭვით... ურევ, სთხრი რაღაც ძველ ჭორებს, რომლებიც აუპატიურებენ მამაშენს. იცი, გრეგერს, გულწრფელადა ვფიქრობ, შენი ხნის კაცს შეუძლიან უფრო სასარგებლო რამეს მოჰკიდოს ხელი.

გრეგ. დიახ, რასაკვირველია, დროა.

ვერლე. ჰო, და მაშინ ეგრე ბნელად აღარ დაუწყებ ყველაფერს ცქერას, როგორც ეხლა! განა რა გამოვა, წლითი წლამდე რომ იქმთებში ქარხანასთან იჯდე, წელში იკაკებოდე მცირე მოხელესავით, და ერთს შილინგერსაც არ იღებდე მეტსა შენ ჯამაგირზე. მტკნარი სისულელეა!

გრეგ. დიახ, დარწმუნებული რომ ვიყო...

ვერლე. კარგად მესმის. გინდა დამოუკიდებელი იყო, არ გინდა ჩემგნით დაივალო და აი სწორედ ეხლა შემთხვევა გეძლევა სრულიად დამოუკიდებელი გახდე.

გრეგ. ჰო-ო?! როგორ?

ვერლე. წერილს რომ გწერდი და გთხოვდი ქალაქში საჩქაროდ მოსვლას...

გრეგ. მაინც რა გინდოდა ჩემგან? მთელი დღე ვუცდიდი, როდის მეტყოდი ამას.

ვერლე. მინდა ჩემს ფირმაში ამხანაგად შეგიყვანო.

გრეგ. შენს ფირმაში ამხანაგად?

ვერლე. ამისთვის ჩვენთვის სრულებით საჭირო არ იქმნება ერთად ცხოვრება, შეგიძლიან აქაური საქმეები ქალაქში აწარმოვო, მე კი ქარხანასთან ვიცხოვრებ.

გრეგ. ნამდვილი გულით ამბობ მაგას?

ვერლე. ჰო, საქმე იმაშია, რომ ძველებურად აღარ შემიძლიან მუშაობა. ჩემთვის საჭიროა მხედველობა შევინარჩუნო, რაც ისეც ძალიან დამისუსტდა.

გრეგ. მხედველობა ყოველთვის სუსტი გქონდა.

ვერლე. ჰო, მაგრამ არა ისე, როგორც ეხლა. ამასთანავე გარემოება შეიძლება ისე გამოიცვალოს, რომ ჩემთვის იქ ცხოვრება შეიქმნას უმჯობესი, პირველ ხანებში მაინც.

გრეგ. ამას კი თავისს დღეში ვერ მოვიფიქრებდი!

ვერლე. ყური მიგდე, გრეგერს, ჩვენ შუა გაჩნდა ჯურღმული, მაგრამ მე მაინც მამა ვარ და შენ შვილი. ვფიქრობ, რომ ურიგო არ იქნებოდა, რამდენამდე მაინც შევთანხმებულიყავით.

გრეგ. შენ მხოლოდ გარეგნულ შეთანხმებაზე ლაპარაკობ.

ვერლე. ყოველ შემთხვევაში ესეც კარგია. მოიფიქრე, გრეგერს, იქნებ ჰპოვო, რომ ეს შესაძლო იყოს, ჰა?

გრეგ. (ცივად შეხედავს) აქ რაღაც ამბავია!

ვერლე. ე. ი. როგორ?

გრეგ. რისთვისაც გჭირდები!

ვერლე. იმისთანა ახლო ნათესავები, როგორც მე და შენ, ერთმანეთს ყოველთვის დასჭირდებიან.

გრეგ. დიახ, ეგრე იტყვიან ხოლმე

ვერლე. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, ეხლა რომ რამდენიმე ხნით დარჩენილიყავ ჩემს სახლში. მე მარტო ვარ, გრეგერს. ყოველთვის მარტოდ ვგრძნობდი თავსა მთელს ჩემს სიცოცხლეში და უფრო მომეტებულად ვგრძნობ ამას ეხლა, როცა ვბერდები. ჩემთვის საჭიროა, ჩემს ახლო იყოს ვინმე.

გრეგ. ხომ გყავს ქ-ნი სიორბუ.

ვერლე. ჰო, ისიც საჭირო შეიქმნა ჩემთვის. ის ჭკვიანი, ცოცხალი ადამიანია... მთელს სახლს აცხოველებს. ეგ კი ჩემთვის საჭიროა.

გრეგერ. მაშ, სჩანს, ყველაფერი გქონია, რაცა გსურს.

ვერლე. ჰო, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს დიდხანს არ გასტანს. როცა ქალი ამნაირად იმყოფება სახლში, ის ადვილად ვარდება ხალხის თვალში, ცრუ მდგომარეობაში და მე თითქოს მზადა ვარ დავამტკიცო, რომ ეს კაცისთვისაც უხერხულია.

გრეგერ. ვინც შენისთანა სადილებსა მართავს, იმას შეუძლიან ყველაფერი ჩაიდინოს.

ვერლე. ჰო, მაგრამ ის ქალი, გრეგერს... ვშიშობ, რომ ამას იქით ის აღარ დასთანხმდება ამას, და თუნდა ჩემი ხათრითაც რომ არ მიაქციოს ყურადღება სხვა და სხვა ჭორებს, ნუ თუ შენ, გრეგერს, შენი პირდაპირობისა და სამართლიანობის გრძნობა...

გრეგერ. (გააწყვეტინებს) მითხარი მოკლედ და ნათლად, იმის შერთვას აპირობ?

ვერლე. რომ ვაპირებდე, მაშინ რა?

გრეგერ. მე თითონა გკითხავ, მაშინ რა?

ვერლე. ძალიან გეწყინებოდა.

გრეგერ. ოჰ, არა, სრულებითაც არა?

ვერლე. რასაკვირველია, წინდაწინვე მაგისი ცოდნა არ შემეძლო... იქნებ დედიშენის ხსოვნა...

გრეგერ. რომელიმე სულელი ფანტაზიორი ხომ არა ვარ!

ვერლე. ვინც უნდა იყო, მაინც და მაინც შენ ჩამოხადე ჩემს სულს ტვირთი. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ შენი მოწონების დამსახურება შემიძლიან ამ საქმეში.

გრეგერ. (დააშტერდება) ეხლა კი მივხვდი, რად დაგჭირდი.

ვერლე. დამჭირდი!—რა თქმაა.

გრეგერ. ო, სიტყვების გამოთქმას ნუ გამოვუდგებით როცა ცალკე ვართ მაშინ მაინც. (მოკლედ იცინის) და ამისთვის უნდა პირადად მოვსულიყავ ქალაქში! ქ-ნი სიორბუს გულისთვის უნდა მეთამაშნა ოჯახური, შინაური ცხოვრების კომედია! სცენა მამისა და შვილს შუა. ჰო, ორიგინალობისა და სიახლეში კი უარი არ ეთქმის!

ვერლე. როგორა ბედავ მაგისთანა კილოთი ჩემთან ლაპარაკს?

გრეგერ. ან კი როდის იყო აქ ნამდვილი ოჯახური ცხოვრება? რამდენადაც მახსოვს, არასოდეს. მაგრამ ეხლა კი ამისი საჭიროება გამოჩნდა. როგორ გულის აღმძვრელი არ არის ყველა ეს! გავარდება ხმა, თუ შვილი როგორ მოფრინდა სახლში შვილობრივის სიყვარულით ფრთებ შესხმული თავისი მოხუცი მამის საქორწინოდ. და ყველა იმ ამბებიდან, თუ რამდენი ტანჯვა-წვალება გამოიარა საწყალმა დედაჩემმა, თვით აჩრდილიც კი აღარ დარჩება,—მისი შვილი გაჰფანტავს ყველა იმათ.

ვერლე. გულ-ახდით მითხარი, გრეგერს, არის კიდევ იმისთანა ადამიანი ქვეყნად, რომელსაც ისეთივე ზიზღით უცქეროდე, ისევე გძულდეს, როგორც მე!

გრეგერსი. მე ძალიან ახლო მიცან შენა!

ვერლე. ყოველთვის დედი-შენის თვალებით მიცქეროდი (ცოტა ხმას უდაბლებს) და უნდა გახსოვდეს კი, რომ ის თვალები ხშირად ბურუსით იყო მოცულნი.

გრეგერსი. (კანკალით) მესმის, რაზედაც ამბობ, მაგრამ ვინ იყო დამნაშავე დედი-ჩემის ამ ნაკლში? შენ და ყველა ესენი! უკანასკნელი იმათგანი იყო ის პირი, რომელიც შერთეს ჰიალმარ ეკდალს, როცა შენ აღარ... ო!

ვერლე. (მხრების აწევით) პირწავარდნილი დედაშენი ხარ.

გრეგერ. (ყურს არ უგდებს) და ეხლა ის სცხოვრობს თავისი დიადი, ბავშვივით მინდობილი სულით ამ სიბინძურეში და არ იცის, რომ მისი ოჯახის კერა სიცრუეზეა აშენებული (ერთს ნაბიჯს გადასდგავს წინა) როცა თვალ წინ მთლად შენი ყოფა-ცხოვრება მეხატება, მგონია რომ ადამიანთა დამტვრეულ-დამსხვრეული სიცოცხლით მოფენილ ბრძოლის ველს უცქერი მეთქი.

ვერლე. ჩვენს შუა ძალიან ღრმა ჯურღმული გაჩნდა.

გრეგ. (ნაძალადევად თავს უკრავს) ეგ მეც შევნიშნე, ამიტომ უმჯობესად ვთვლი ჩემი ქუდი ავიღო და წავიდე.

ვერლე. მიხვალ?.. მამიშენის სახლიდან?

გრეგ. დიახ, ეხლა ნათლადა ვხედავ ჩემი სიცოცხლის მიზანს.

ვერლე. რა მიზანს?

გრეგ. დამცინებ, რომ გითხრა.

ვერლე. სულით მარტო, ობოლი ადამიანი ეგრე ადვილად არ იცინის, გრეგერს.

გრეგ. (ხელით ანიშნებს სცენის უკანა მხარეს) შეხედე, მამავ, იქ კამერგერები კეკემალულას ეთამაშებიან ქ-ნ სიორბუს... ღამე მშვიდობისა! იყავ ბედნიერი! (მიდის სცენის სიღრმეში, მარჯვნივ. ისმის სტუმრების სიცილი, ისინი გამოჩნდებიან სცენის უკანა მხარეს).

ვერლე. (დაცინვით) საბრალო! და კიდევ ამბობს, რომ სულელი არა ვარო!

(ფარდა)

(შემდეგი იქნება)

გ. ნამორაძე.

სოფელს თავის დაუდევრობით წყალი აკლია. იქ, სადაც შეიძლება ცოტაოდენი ხარჯით ხუთი-ექვსი მილი წყალი გადმოდიოდეს, მხოლოდ ერთი მოწანწკარებს, ისიც ნაშითა და ვაი-ვაგლახით სავსე.

ამას წინად 400 მანეთი სოფელს გააწერეს, 180—მანეთი დახარჯეს ნავის გასაკეთებლად, დანარჩენი 220—მან. ანგარიში არ ვიცით. საჭიროა ამ ფულის მოძებნა.

კვირაობით გურჯაანში 50-მდე ურემი შემოდის ხე-ტყის გასასყიდად. ამ ორ თვემდე თითო ურემზე ორ შაურს ბაჟს იღებდნენ სასოფლოდ. სულ აკრეფილი 30 მანეთზე მეტია და წარმოდგენილი 2 მან. 60 კაპ. მეტი არ არის. ვავალებთ ბ. მამასახლისს ანგარიში მოსთხოვოს ამ ხარჯის ამკრებთ ილია ფიდოს ძე ნიბლაძეს, დავით ზვერიაშვილს და ვანო გორხელაშვილს.

ამ სამიოდე წლის წინად 12—ამორჩეული კაცი ასამართლებდა ქურდებს და ფულს ახდევინებდა. 60 თუმანზე მეტი აუღიათ. 50 მან. ამ ფულიდან მიბარებულია გიო ცისკარაშვილთან, დანარჩენი არსადა სჩანს.

ეს ფული ტყუილად დასაკარგი არ არის. გურჯაანის სამკითხველო გაჭირვებაშია, ეს ფული რომ სამკითხველოს შესწიროს სოფელმა,—კარგ საქმეს იზავს.

სარკინისგზო მუშაობა აქ უკვე დაიწყეს, ორი თვის შემდეგ გზაში მოყოლებულ ვენახებს გაჰკაფავენ. ოციოდე გლეხის ვენახი ჰყვება. სხვა სოფლებშიაც ალბად ესეა. გლეხის ერთად ერთ საცხოვრებელს აქ ეს ვენახები შეადგენს და ჯერ გლეხმა არ იცის, ვინ უზღავს ზარალს, როგორ და რა გზით. აგენტი რკინის გზისა შინაურულად მორიგებას ჰპირდება, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. მომეტებულ გლეხობას ეს ვენახები შინაურულ ხელ-წერილებით უჭირავს. საჭიროა ეს ხელ-წერილები კანონიერ საბუთად იქმნას ცნობილი. გლეხი თანახმაა მამულის ფასად მონაწილე გახდეს რკინის გზისა, მაგრამ ახსნა-განმარტება სჭირია ამ პირობებს, რომ ეს გამოურკვეველი მდგომარეობა მოისპოს.

იმედია კახეთის რკინის გზის მმართველობა საყურადღებო საქმედ მიიჩნევს გლეხის ამგვარ გაჭირვებას.

ვ. კარბელაშვილი.

ს. ჩუმლაყი (ქიზიყი) იშვიათია აქეთ ისეთი ჩამორჩენილი სოფელი, როგორიც არის ჩუმლაყი. აქ არც ინტელეგენცია და არც რამე კულტურული დაწესებულობა. სხვა სოფლებს მოსწავლე ახალგაზდობა ზაფხულობით მაინც ამხიარულებს, ჩუმლაყი ამასაც მოკლებულია.

თუმცა ჯერ აქეთ რკინის-გზის კეთებას არ შესდგომიან, მაგრამ გლეხობა ემზადება საიმისო მუშაობისთვის. ივლისის შუა რიცხვებში, ჩუმლაყში მოსულა ორი, იმერულად გამოწყობილი, კაცი; უთქვამთ-რკინის-გზა იჯარით გვაქს აღებულიო და გვინდა ურმები დავიქირაოთო. ბევრს უარი უთქვამს, ბოლოს მიუმართავთ—გლეხ შაქრო ორთოიძესთვის, ეს დათანხმებულა. ბედ გამოურთმევიათ თორმეტი თუმანი. ამის შემდეგ ეს მოიჯარადრენი უკვალოდ დაიკარგნენ. საჭიროა ამისთანა მძარცველების წინააღმდეგ ზომები მიიღონ, თორემ კახეთის გულდია გლეხკაცობა ასეთ გაიძვერობას ჩვეული არ არის და ადვილათაც გაებმებიან მათს ქსელში.

წელს ჩუმლაყში, შედარებით სხვა სოფლებზე, ვენახები მეტად გაფუჭდა.

სტუმარი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

3 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

ოსმალეთის ვითარება.

ვენა. „ნეიეს-ვინერ-თაგებლატტი“ და „ნეიე-ფრაიე-პრესე“ იუწყება, გრაფი ბერტჰოლდი აპირებს სახელმწიფოებს მოელაპარაკოს იმის თაობაზე, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებმა, თავის პოლიტიკასა და წადილს რო განახორციელებენ, პორტასაც მისცენ საშუალება ნაციათა მისწრაფებათა მიხედვით სახელმწიფოს მოწყობისათ. „ნეიე-ფრაიე-პრესე“ ამბობს, საქმის ასე დატრიალება ყველასათვის ხელსაყრელი იქნება.

სოფია. სტამბოლიდან შემდეგს იუწყებიან: აჯანყების დროშა რასნიში 1908 წლის რევოლუციის გმირს ნიაზი-ბეის აუფრიალებია, ნიაზი-ბეიმ მთებში გახიზნული ოსმალ-ალბანელნი, დეზერტირები და ჟანდარმები შეაგროვა. ალბანელთა ბელადები ნიაზი-ბეის არ მიმხრობიან. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტსა და ნიაზი-ბეის დიდი იმედი ჰქონიათ მალისორებისა, რომელთაც ძალიან ბევრი დაუთმეს შარშანა. გარდა ამისა, ახალგაზდა ოსმალთ ბევრი თანამგრძნობი ჰყოლიათ ალბანეთის ახალგაზდობასა და სალონიკის აფიცრებში.

სატახტო ქალაქში ეფიქრებათ, ვაი თუ ნიაზი-ბეის გაქცევამ მაკედონელთა აფიცრები წააქეზოს და ააჯანყოსო. მთავრობას გადაუწყვეტნია, მტკიცედ და გადაჭრით იმოქმედოს, მაგრამ ჯარი თავისავე მოძმეთა საწინააღმდეგოდ ზანტად ირჯება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, პირველი შეტაკება რას მოიტანს, რა შთაბეჭდილებას დასტოვებს.

მთავრობას ძალიან დიდი ძალა დასჭირდება გასამარჯვებლად. სამხედრო მინისტრი ნაზიმი დიდ სიმტკიცეს იჩენს ამ მხრით და გულ-ხელ დაკრეფილი როდი ზის: ყველა სამხედრონი დააფიცა მთავრობის ერთგულებაზე და სიტყვა ჩამოართვა, რომ საპოლიტიკო ბრძოლაში არ ჩაერევიან, ნაზიმმა სამართალში მისცა ამ ფიცის გამტეხი, მაჰმუდ-ფაშას მახლობელი, პორუჩიკი სელიმი, რომელიც რკინის გზის მოსამსახურეებში ჰქადაგობდა თურმე. სასამართლოს სელიმისათვის დახვრეტა გადაუწყვეტია. დაამტკიცებენ კიდეც განაჩენს, თუმცა საფიქრებელია კომიტეტის აფიცრების საპასუხო მოქმედება.

ალბანელებთან საქმეს აკეთებენ, მაგრამ არც ძალიან კარგად არის საქმე. გარდა ავტონომიისა, ალბანელთა უმრავლესობას მოუთხოვნია: ალბანელებმა სამხედრო ბეგარა ალბანიაშივე უნდა მოიხადონო და სამართალში უნდა მისცეთ ის მმართველნი, ვისი ბრალიცაა იტალიელების მიერ ტრიპოლის ხელში ჩაგდება. ალბანელები უნდა გაანთავისუფლოთ ზოგიერთ გადასახადისაგანაო, დაკარგული იარაღის ფასი უნდა აუნაზღაუროთ და გაოხრებულ-გადამწვარ სადგომების ფასი უნდა გადიხადოთო.

მთავრობა უკვე დასთანხმებია ალბანელთა ზოგიერთ მოთხოვნილებებს. აი ეს მოთხოვნილებანი: ალბანელთა სკოლაში ალბანურის სწავლება, დაარსება და ხარჯის ძლევა ალბანელთ სკოლებისათვის, გზების გაყვანა, მიწების ერთნაირად შეფასება, სადგილ-მამულო ბანკების დაარსება, ალბანეთისათვის გამარტივებულ კანონების გამოცემა, კანტონალურ ორგანიზაციების შექმნა ალბანელა მოხელეებით და ყველა რეფორმათა განხორციელება განსაკუთრებულ სპეციალ საკანტროლო კომისიის ზედამხედველებითა.

ბერლინი. ავსტრიის რწმუნებულმა კიდერლენ-ვეხტერს შეატყობინა, გრაფ ბერტჰოლდს განზრახვა აქვს სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება გამართოსო ბალკანეთის საქმეთა გამოო.

სტამბოლი. ალბანელები უსკიუბში შესულან.

ჩერნოგორიასთან ჩამოვარდნილი დავა საზღვრების გამო, 1908 წლის შეთანხმების მიხედვით გადასწყვიტეს.

გზათა მინისტრი პაჰმედ შერიფ-ფაშა გზათა მინისტრად დანიშნეს.

ყაჩაღების თავდასხმა.

ქოი. სამხედრო ტრანსპორტს, რომელიც ჯულფიდან მოდიოდა, ყაჩაღები დაესხნენ თავსა. მცველებს უკუ უქცევიათ ყაჩაღები. სროლის დროს მოუკლავთ ჯარის „ფოდრაჩიკი“ ჰასანოვი.

მულაი-ჰაფიდი.

მარსელი. მაროკოს ხონთქრად ნამყოფი მულაი-ჰაფიდი გემით ჩამოვიდა.

ბულგარეთის მეფის ოცდახუთის წლის იუბილე.

სოფია. ფერდინანდ მეფე ტირნოვოში წავიდა, იუბილეს იქ გაუმართავენ.

ნაციონალისტების პრესა, მაკედონიაში დატრიალებულ ამბის გამო, დღესასწაულს არ თანაუგრძნობს. გაზეთები აღნიშნავენ, ღმერთმა ჰქნას, მომავლის დღესასწაულზე ბალკანეთის ცა მოღრუბლული არა ყოფილიყვეს, ვით ეხლაო.

რუსეთი

გენერალი ნერატოვი.

ტფილისი. გენერალი ნერატოვი იუწყება, აგარის რაზმს შეუერთდიო და პოლკოვნიკ ტოლმაჩევთან ერთად ენერგიანად ვსდევენ ხოჯახოჯალინელებსაო. მათ შესამუსრავად ეხლა ჩრდილოეთისაკენ მივდივართო. აგარის რაზმს ყველაფერი საკმაოდ ჰქონია.

პუანკარე რუსეთში.

მოსკოვი. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა პუანკარემ მოსკოვის შესანიშნავი ადგილები დაათვალიერა.

საღამოს რვა საათზე პუანკარე უკან, პეტერბურგს გაბრუნდა.

ყაჩაღები.

მოსკოვი. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეს კრესტოვნიკოვს თავის მამულში რო მინავალა, ყაჩაღები დასხმიან თავსა. მძარცველებს გაუჩერებიათ ეტლი, ბრაუნინგი მოუღერებიათ კრესტოვნიკოვისათვის და ფული და ოქროს საათი წაურთმევიათ.

თეატრი და ხელოვნება.

ქართველ მომღერალ-მსახიობთა მოგზაურობა. ბ-ნ ვალერიან გუნიას მშვენიერი აზრი მოსვლია: ამ თვის პირველებიდან ჩვენს ზოგიერთ დაბა-ქალაქებში გამართოს ახალგაზდა მომღერალთა მონაწილეობით კონცერტები. კონცერტების პროგრამა ფრიად საინტერესოდ არის შედგენილი. სიმღერების გარდა წაკითხული იქნება სცენები, მონოლოგები და კომიკური კუპლეტები დღიურ ჰირ-ვარამზე.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, საიმპერატორო თეატრების მსახიობი (ბასი) სოსო ტომაშევიჩი—ყარაშვილი. ამათ გარდა კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ვასო აბაშიძე, როგორც კომიკური კუპლეტებისა და სცენების წამკითხველი.

კონცერტი გაიმართება ქალაქ გორში, მერე სიღნაღსა და თელავში და სხვა.

ამ კონცერტებში მომღერლები ქართულად [illegible] რომანსებს და დუეტებს.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშ[illegible]

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საავგარაკო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საავგარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11, იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახანსკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახანიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 ქ. ფომინა-ოსიპოვისა (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ი. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
[illegible]**ისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
[illegible]**უბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 3

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„**606**“—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა,
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1078.119)

ექიმი ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.45)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(0—1253—90)

ქირავდება
ნათელი, სუფთა და მშრალი, სარდაფი.
ცხინვალის ქუჩა, № 13. ჰკითხეთ სახლის პატრონს. ბინა 11.
(4—577—4)

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში
მუხრანის ქ., № 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.
(25.549.9)

სახელოსნო და საწყობი
ძეგლებისა.
ძმ. აგლაძეების.
მიხეილის პროსპ. № 48.
ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწვდომ ფასებში.
(0.—522—20)

სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი
„**SALO—პირილინი**“
სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა. ცალი 1 მ. და 80 კაპ.
მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Г. Конгейма. იგზანება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად სააფთიაქო საწყობებში. Метцль 23672.
(წ. 1161.16)

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“	ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა“	„	80 კ.
III „	„ნააზრევი“	„	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“—„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „**მემონრობა**“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„**გ ა მ ც ე მ ი**“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ცინკოგრაფია
ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ
კლიშეების დამზადებას,
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. (თ.—1307.16)

შპალიერი

ე. ა. ცატუროვის
დეპოში
მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი
რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.
ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) უარებელ ხარისხისა.
ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—6)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
ყურადღება!
(წ.1131.223)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე
ბოჭკის საუკეთესო
ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“